საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოსდაცვითი
შეფასების დეპარტამენტს

მიმდინარე წლის 21 ივნისის N10851 წერილით ჩვენს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში(შემდგომში - სამინისტრო) წარდგენილი იქნა სკრინინგის ანგარიში, რომელიც ეხება ქ.ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ.№3-ში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე არსებული 23000 ლიტრი საერთო ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ, დამატებით 22000 ლიტრი ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სამინისტროს მიერ N 6745/01 წერილით მოთხოვნილი იქნა აღნიშნულ სკრინინგის ანგარიშზე დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მიერ წარდგენილი იქნა 19 იელისის N12719 წერილით, რომელზეც სამინისტროს მიერ პასუხად, №7733/01 წერილით მოთხოვნილი იქნა N6745/01 წერილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი/შესწორებული სკრინინგის ანგარიშის ხელახლა წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება როგორც სამინისტროს 2021 წლის 30 ივნისის N6745/01 წერილში მითითებულ საკითხებზე დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია, ასევე 19 ივლისის N12719 წერილით მოწოდებული ინფორმაცია გაერთიანებული სახით.

წინამდებარე წერილზე დანართის სახით წარმოგიდგენთ ქ.ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ.№3-ში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე არსებული ბენზინისა და დიზელის 23მ³ საერთო მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ, დამატებით ბენზინის ორი, 8მ³ და 14მ³ მოცულობების ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სრულყოფილ/შესწორებულ სკრინინგის ანგარიშს, სამინისტროს N7733/01; 23/07/2021 წერილის შესაბამისად.

დანართი:

1. ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ.№3-ში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე არსებული ბენზინისა და დიზელის 23მ³ საერთო მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ, დამატებით ბენზინის 8მ³ და 14მ³ მოცულობების ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით,

შპს „ეკოპეტროლი"-ს დირექტორი /მ. საღირაშვილი/

2.08.2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 13688
02 08 2021
02

შპს „ეკოპეტროლი”

ავტოგასამართ სადგურზე ექსპლუატაციაში არსებულ 23მ^3(23000 ლიტრი) საერთო მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავთან მიმდებარედ დამატებით ბენზინის ორი, 22მ^3 საერთო მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია (ქ.ზესტაფონი, ვლადიმერ სტაროსელსკის ქ.№3)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. **„BS Group”**

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1.იურიდიული ასპექტები

მისამართზე, ქ. ზესტაფონი, ვლადიმერ სტაროსელსკის ქ.№3, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 32.10.33.125, კოორდინატები: X=33.66.20; Y=46.64.200) ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2015 წელს შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად ავტოგასამართ სადგურზე ექსპლუატაციაში იმყოფება ბენზინის ლითონის მიწისქვეშა ერთი რეზერვუარი, ტევადობით 8მ³ და დიზელის საწვავის, ასევე ერთი ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარი, ტევადობით 15მ³. თითოეული საწვავის საპროექტო წლიური წარმადობა შეადგენს შესაბამისად, 240000ლიტრი/წელს და 350000ლიტრი/წელს. 2017 წელს აღნიშნული ავტოგასამართი სადგური იჯარის წესით გადაეცა შპს ,,ეკოპეტროლი"-ს, ხოლო 2020 წლის 30 დეკემბერს იჯარის ხეკლშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაგრძელებული იქნა. შპს ,,ეკოპეტროლი"-ის ოპერირების პერიოდში ტექნოლოგიური ცვლილებები არ განხორციელებულა. მიმდინარე ეტაპზე ბენზინზე მოთხოვნილების გაზრდის გათვალისწინებით, შპს ,,ეკოპეტროლი"-ს დაგეგმილი აქვს დამატებით ბენზინის ორი ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარის ექსპლუატაციაში მიღება, მოცულობებით 8მ³ და 14მ³, ამასთან გაიზრდება საწარმოს მიერ რეალიზებული საწვავის(ბენზინის და დიზელის) საერთო რაოდენობა და მისი ახალი დაგეგმილი საერთო მაქსიმალური სიმძლავრე საწარმოს გათვლებით ტოლი იქნება 2000000 ლიტრი დიზელის საწვავი და 2000000 ლიტრი ბენზინის წლიურად, ხოლო საწვავის გასაცემის სვეტების და განქრევის მილების რაოდენობა უცვლელი დარჩება(1 სვეტი, მასზე სამი განქრევის მილით).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის, 6.3. პუნქტის შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული საქმინობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას.

2. საწარმოს ექსპლუატაციის პირობები

შპს ,,ეკოპეტროლი"-ს 8მ³ და 14მ³ მოცულობების ნავთობპროდუქტის საცავების მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. ზესტაფონში, ვლადიმერ სტაროსელსკის ქ.№3-ში მდებარე მოქმედი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 2000კვ.მ.-ს, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია არსებული რეზერვუარები, ხოლო დამატებითი რეზერვუარის მოწყობა იგეგმება მათ მიმდებარედ. ავტოგასამართი სადგურის საწვავით გამართვის სვეტი განთავსებულია ტერიტორიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისი-სენაკი ლესელიძის ავტომაგისტრალთან ახლოს. არსებული რეზერვუარები წარმოადგენენ ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარებს. დაგეგმილი რეზერვუარები ასევე წარმოადგენს ლითონის რეზერვუარებს და განთავსდება მიწისქვეშ, ბეტონის სარკოფაგებში, ბეტონის უნაგირის საყრდენზე, ხოლო გვერდებიდან ამოივსება ქვიშის ფენით. საწვავის გასამართი სვეტი მოქცეულია სახურავის ქვეშ, ხოლო სვეტის ირგვლივ მოწყობილია საწრეტი ღარი, რომელიც იხსნება მიწისქვეშა რეზერვუარში, სადაც ჩაედინება უნებლიედ დაღვრილი საწვავი. ასევე დაგეგმილია შესაბამისი პარამეტრების ერთკამერიანი ნავთობდამჭერის(დანართი 2.3) მოწყობა საწარმოს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მოხდება ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნავთობის შემცველი წყლის ჩადინება.

საწარმოს ტერიტორიის ზედაპირი დაბეტონებულია, მოწყობილია ასეთი ტიპის საწარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მუშათა გასახდელი, სანიტარიული კვანძი, სახანძრო ინფრასტრუქტურა - ქაფწარმომქმნელი, ნიჩაბი, ქვიშის მარაგი. საწავავის მიღება მოხდება

ავტოცისტერნებით. დასაქმებული იქნება სულ 4 ადამიანი. სამუშაო რეჟიმი შეადგენს 365 დღეს, 24 საათიანი გრაფიკით.

უახლოესი მოსახლე(32.10.35.336) საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 305 მეტრით. (დანართი 2.1)ტერიტორიიდან დასავლეთით 390მ.-ის დაშორებით მიედინება მდ. ყვირილა. ნაკვეთის მიმდებარედ, მისგან ჩრდილოეთით, 10 მეტრის დაშორებით განთავსებულია ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა, საწარმოს სამხრეთით 70 მეტრის და 130 მეტრის დაშორებით მდებარეობს შესაბამისად შპს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგური და შპს ,,ლუგოილი თერჯოლა“-ს კუთვნილი თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვის სადგური.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენება მიმდებარედ არსებული ჭის(მესაკუთრე მოქ. გრიგოლ კაკაურიძე) წყალი, ხოლო საწარმოო მიზნებისათვის წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს. ტერიტორიაზე მოწყობილია ტუალეტი ორმოზე. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გატანა ხორციელდება კერძო კომპანიის მიერ.

ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება განხორციელდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალით, ბენზინის და დიზელის საწვავის მიღება მოხდება 5-15 ტონა ტევადობის ბენზინმზიდებით. საწარმოს სიმძლავრის გათვალისწინებით, სამუშაო დღის განმავლობაში პროდუქციის მიღების ჯერადობა შეადგენს 0,5-1 სატრანსპორტო ოპერაციას;

საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 2.1.

ცხრილი 2.1.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს ,,ეკოპეტროლი“
იურიდიული მისამართი	თბილისი, ივანე სარიშვილის ქ., №31
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. ზესტაფონი, ვლადიმერ სტაროსელსკის ქ. №3
საქმიანობის სახე	ნავთობსაცავის მოწყობა
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	405195845
ელექტრონული ფოსტა	ekopetrol@yahoo.com
საკონტაქტო პირი	მალხაზ საღირაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 77 40 26 40
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. ,,BS Group”
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

დანართი 2.1.; 2.2. და 2.3.-ზე წარმოდგენილია შესაბამისად საწარმოს ორთოფოტო უახლოესი სახლის მითითებით და საწარმოს საკადასტრო ნახაზი, მასზე არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურით და საწარმოს საკადასტრო ნახაზი დაგეგმილი ნავთობდამჭერით.

დანართი 2.1.


შპს ,,ეკოპეტროლი“
შპს,,ვისოლ პეტროლ ეუმ ჯორჯია“
შპს ,,ლუგოილი თერჯოლა“
305მ
უახლოესი საცხოვრებელი სახლი

დანართი 2.2.


საკადასტრო გეგმა
საჯარო რეესტრის ეროვნულ
სააგენტ
საკადასტრო კოდი: 32.10.33.125
განცხადების ნომერი: 882021094241
მომზადების თარიღი: 11/02/2021
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2000 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)
336590
336620
4664220
4664190
N
01/3
02/1
03/1
32.09.375
არსებული
დიზელის ავზი
არსებული
ბენზინის ავზი
საპროექტო
ბენზინის ავზი
საპროექტო
ბენზინის ავზი
კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N
მასშტაბი 1:500
10
05/25
მეზობარი ნაგებობა
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
05/25
შენობა/ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
ტყის ფონდი
ეალდებულება

დანართი 2.3.


საკადასტრო გეგმა
საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო
საკადასტრო კოდი: 32.10.33.125
განცხადების ნომერი: 882021094241
მომზადების თარიღი: 11/02/2021
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2000 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)
336590
336620
N
4664220
4664190
ნავთობდამჭერი
02/1
03/1
01/3
32.00.573
10
კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N
მასშტაბი 1:500
05/25
მეზობელი ნაკვეთი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
05/25
მეზობელნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
ტყის ფონდი
ვალდებულება

დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი დაფარულია ბეტონის ფენით.

საწარმოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი მიწის სამუშაოები არ შესრულდება, ამიტომ არქელოგიური ძეგლების დაზიანებას ადგილი არ ექნება, ასევე საწარმოს ექსპლუატაციისას ადგილი არ ექნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებას, რადგან საწარმოს ზემოქმედების ზონაში ასეთის არსებობა არ ფიქსირდება.

საწარმოს მოწყობისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობით ინერტული მასალის ნარჩენები, რომლითაც მოხდება მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივი ჩაღრმავებების ამოვსება, ხოლო ოპერირებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების (საკვების ნარჩენები, ქაღალდის და მუყაოს ნაჭრები, პოლიეთილენის პარკები, დამსხვრეული მინის და პლასტმასის ნარჩენები, ნამუშევარი და წუნდებული ვარვარის ნათურები და სხვ) – 2 $მ^3$/წელ, ლუმინისცენტური ნათურების ნარჩენები, გაზეთილი საწმენდი მასალა (ძონძი). ასეთი სახის ნარჩენების გადაცემა მოხდება ამ საქმიანობისათვის შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

საწარმოში დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით მცირე გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს, ამიტომ საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. საწარმოს მოწყობის გათვალისწინებით, კერძოდ, არსებული რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშ, ასევე მიწისქვეშ განთავსდება დაგეგმილი რეზერვუარები, ბეტონის სარკოფაგებში, ბეტონის უნაგირის საყრდენზე, საწვავის გასამართი სვეტები მოქცეულია სახურავის ქვეშ, ხოლო სვეტების ირგვლივ მოწყობილია საწრეტი ღარი, რომელიც იხსნება მიწისქვეშა რეზერვუარში, სადაც ჩაედინება უნებლიედ დაღვრილი საწვავი. ასევე დაგეგმილია შესაბამისი პარამეტრების ერთკამერიანი ნავთობდამჭერის მოწყობა საწარმოს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მოხდება ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნავთობის შემცველი წყლის ჩადინება, რომელიც შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებს მინუმუმამდე დაყავს საწვავის დაღვრის შემთხვევაში, ასევე საწარმოს ტერიტორიის ზედაპირის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული წყლის გავრცელება ტერიტორიაზე ან მის გარეთ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნაჯერი ნახშირწყალბადები. საწარმოს სამხრეთით 70 მეტრის და 130 მეტრის დაშორებით მდებარეობს შესაბამისად შპს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგური და შპს ,,ლუგოილი თერჯოლა“-ს კუთვნილი თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვის სადგური, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი(32.10.35.336) - საწარმოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 305 მეტრის დაშორებით. აღნიშნული ლოკაციების და ზემოთ აღნიშნული საწარმოების ტექნოლოგიური ციკლის და წარმადობების გათვალისწინებით(არა მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში, არამედ ზოგადად ასეთი ტიპის საწარმოებისათვის) არსებული ავტოგაზგასამართის, ავტოგასამართი სადგურების და დაგეგმილი საქმიანობის ერთდროული ექსპლუატაციის პირობებში მათ მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების სუმაციური მნიშვნელობა არ გადააჭარბებს(მნიშვნელოვნად ნაკლებია) 1 ზდკ-ს, ამიტომ კუმულაციურ ზემოქმედებას

პრაქტიკულად ადგილი არ ექნება, მათ შორის საწარმოდან უახლოესი მოსახლის 215 მეტრით დაშორების შემთხვევაშიც;

EKOPETROL LTD

ავტოგასამართი სადგურის
იჯარის ხელშეკრულება №3

ქ. თბილისი **17 მარტი 2017წ.**

ერთის მხრივ, შპს "ეკოპეტროლი" (შემდგომში "მოიჯარედ" წოდებული), წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ საღირაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ გრიგოლ კაკაურიძე (შემდგომში "მეიჯარედ" წოდებული), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იჯარით იღებს ქალაქ ზესტაფონში, სტაროსელსკის უბანზე (შემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე 2000 კვადრატულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურს.

1.2. "საიჯარო ქონების" რეკვიზიტებია (უძრავი ქონების (მიწის) საკადასტრო კოდი: №32.10.33.125):

ზონა	სუბტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ზესტაფონი	ზესტაფონი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
32	10	33	125	დაზუსტებული ფართობი: 2000.00 კვ.მ.
				ნაკვეთის წინა ნომერი: 32.10.33.099
მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, ჭუნი სტაროსელსკი				შენობა-ნაგებობების ნომენკლატურა: №01/3. განაშენიანების ფართობი 87.7 კვ.მ, განაშენიანების ფართობი 14.65 კვ.მ. შენობა ნაგებობების საერთო ფართი: 224.03.

1.3. "მეიჯარე" "მოიჯარეს" უძრავ ქონებასთან ერთად ასევე გადასცემს ქვემოთ ნაჩვენებული რაოდენობისა და მოცულობის რეზერვუარებს:

- 1 (ერთი) ცალ 8 000 (რვაათასი) ლიტრიან ბენზინის რეზერვუარს;
- 1 (ერთი) ცალ 5 000 (ხუთიათასი) ლიტრიან დიზელის რეზერვუარს.

2. საიჯარო ქირა

2.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 2 (ორი) თვე წარმოადგენს საშეღავათო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც "მოიჯარე" "მეიჯარეს" არ უხდის საიჯარო თანხას.

2.2 2 (ორი) თვიანი საშეღავათო პერიოდი ეძლევა "მოიჯარეს" ავტოგასამართი სადგურის რებრენდინგისა და ასევე, ავტოგასამართი სადგურისა და საწვავის რეზერვუარების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ტექნიკური რეგლამენტის მასალარებლად, რომელიც აუცილებელია ავტოგასამართი სადგურის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ფუნქციონირებისათვის.

2.3 2 (ორი) თვიანი საშეღავათო პერიოდის დასრულების შემდგომ საიჯარო ქირა განისაზღვრება რეალიზებული ნავთობპროდუქტების მიხედვით, რასთან დაკავშირებითაც მხარეებს შორის დამატებით ვაფორმდება შეთანხმება, რომელშიც კონკრეტულად განისაზღვრება საიჯარო ქირის დაანგარიშების წესი და ასევე მისი გადახდის პირობები.

2.4 საიჯარო ქირის განსაზღვრის შემდგომ, გადანაწილდება პირველ ორ თვეში მიღებული შემოსავალი, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების ხარჯების გათვალისწინებით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები.

3.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

3.1.1. გამოიყენოს "საიჯარო ქონება" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით ავტოგადასართი სადგურის მოსაწყობად;

3.1.2. მოუაროს "საიჯარო ქონება" და შეინახოს არსებული სახანძრო, ტექნიკური და სანიტარული ნორმების შესაბამისად;

3.1.3. გადაიხადოს კომუნალური და ელექტროენერგიის გადასახადი არსებული ტარიფებით;

3.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადამდე შეწყვეტისას დაუბრუნოს "მეიჯარეს" მისი კუთვნილი "საიჯარო ქონება";

3.1.5. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.2. "მოიჯარეს" უფლება აქვს:

3.2.1. "მეიჯარის" ყოველგვარი თანხმობის გარეშე საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს "საიჯარო ქონებას" სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები (როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური) ან/და განახორციელოს მისი გაუმჯობესებანი;

3.2.2. საკუთარი ხარჯით "საიჯარო ქონებაზე" დაამონტაჟოს ყველა აუცილებელი ფუნქციონალური მოწყობილობა-დანადგარი. ხოლო ამ ხელშეკრულების დამთავრებისას ან ვადამდე მოშლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მათი დემონტაჟი;

3.2.3. ისარგებლოს "საიჯარო ქონებასთან" მისასვლელი გზებით, მთავარი შესასვლელით;

3.2.4. ისარგებლოს ელექტროენერგიის, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის იმავე ქსელით, რომლითაც სარგებლობს "მეიჯარე" ((საკუთარი (ინდივიდუალური) მოხმარების მრიცხველების დაყენების გათვალისწინებით));

3.2.5. "მეიჯარესთან" შეთანხმების გარეშე "საიჯარო ქონების" შიდა და გარე კედლებზე მოათავსოს აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის მქონე);

3.2.6. საჭიროების შემთხვევაში "მეიჯარის" ყოველგვარი თანხმობის გარეშე მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მიიღოს მათგან ნებართვა "საიჯარო ქონებაზე" სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

3.3. **"მეიჯარე" ვალდებულია:**

3.3.1. ხელი შეუწყოს "მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა;

3.3.2. "მოიჯარეს" თავიდან აიცილოს მესამე პირთა ყოველგვარი ისეთი ქმედება, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს ავტოგასამართი სადგურის ნორმალურ და გამართულ ფუნქციონირებას.

3.3.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.4 **"მეიჯარეს" უფლება აქვს:**

3.4.1. აუცილებლობის შემთხვევაში, იჯარით გაცემულ "საიჯარო ქონებაზე", მოახდინოს ტექნიკური მოწყობილობების შეკეთება და შეასრულოს სხვა სახის სამუშაოები საკუთარი სახსრებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 17 მარტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება იგივე ან ურთიერთ მისაღები შეცვლილი პირობებით.

4.3. თუ მხარეები არ შეთანხმდებიან წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის უფლება ავტომატურად უქმდება, ხოლო "მოიჯარე" ვალდებული იქნება დაფაროს დავალიანება (თუკი ასეთი არსებობს) და დაცალოს "საიჯარო ქონება". იგივე წესი იმოქმედებს, თუკი წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ქვემოთ მითითებულ შემდეგ შემთხვევებში:

5.1.1. თუ "მოიჯარე" გახდება გადახდისუუნარო, ან თუ "მოიჯარე" გადააცილებს საიჯარო ქირის გადახდის ვადას 3 (სამი) თვით;

5.1.2. "მოიჯარის" მიერ "მეიჯარისათვის" 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

5.1.3. მხარეთა შეთანხმებით;

5.1.4. "მეიჯარის" მიერ "მოიჯარისათვის" 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში "მეიჯარემ" "მოიჯარეს" უნდა აუნაზღაუროს გაწეული ხარჯები, რომელიც გასწია ავტოგასამართი სადგურის რებრენდირებისას;

5.1.5. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა მიერ მხოლოდ ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას.

6. სხვა პირობები

6.1. თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "მეიჯარე" გადაწყვეტს გაქირავებული "საიჯარო ქონების" ან მისი ნაწილის მიყიდვას მესამე პირზე და არა "მოიჯარეზე", მაშინ ასეთი მყიდველი ხდება იჯარის ხელშეკრულების მონაწილე.

6.2. საიჯარო ქონების გაყიდვის შემთხვევაში "მოიჯარე" სარგებლობს "საიჯარო ქონების" უპირატესი შესყიდვის უფლებით.

6.3. "საიჯარო ქონების" გადაცემასთან დაკავშირებით მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეებს ეხსნებათ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ, მხარეები შეთანხმდებიან ვალდებულებების შესრულების დამატებით ვადებზე.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ერცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.

6.6. ყველა წარმოშობილი სადაო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

6.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ამასთან ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"მოიჯარე"	"მეიჯარე"
შპს "ეკოპეტროლი"	ფიზიკური პირი: გრიგოლ კაკაურიძე
ს/კ 405195845	პ/ნ 18001002238
მის. ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო	
საცდელი მეურნეობა	
დირექტორი	ფიზიკური პირი
მაღხაზ სადირაშვილი	გრიგოლ კაკაურიძე

ქ. ზესტაფონი, ბულაჩაულის ქუჩა №3
საკადასტრო კოდი: №12.10.33.125
ბინათმფლობელთა შეიერთიანება კოდი: 443012

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №5
(2017 წლის 17 მარტს გაფორმებულ №3
ავტოგასამართი სადგურის ოკარის ხელშეკრულების
გაგრძელების შესახებ)

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2020წ.

2017 წლის 17 მარტს შ.პ.ს. "ეკოპეტროლსა" (შემდგომში "მოიჯარე") და გრიგოლ კაკაურიძეს (შემდგომში "მეიჯარე") შორის გაფორმებული ავტოგასამართი სადგურის №3 ოკარის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდეს მხარეთა შორის 2017 წლის 17 მარტს გაფორმებული №3 ოკარის ხელშეკრულება.

1.2 2021 წლის 1 იანვრიდან შეიცვალოს ყოველთვიური საიჯარო თანხა და იგი განისაზღვროს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე.

1.3 წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

1.4 წინამდებარე ცვლილების გარდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა პუნქტი და ქვეპუნქტი რჩება უცვლელად.

1.5 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად.

1.6 წინამდებარე შეთანხმება ერთვის მხარეთა შორის გაფორმებულ ზემოთ აღნიშნული ავტოგასამართი სადგურის ოკარის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები:

"მოიჯარე"	"მეიჯარე"
შ.პ.ს. "ეკოპეტროლი" ს/კ 405195845 მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 12 ელ.ფოსტა: ekopetrol@yahoo.com	ფიზიკური პირი: გრიგოლ კაკაურიძე პ/ნ 18001002238
წარმომადგენელი ირაკლი გელიტაშვილი (პ/ნ 01024039594)	ფიზიკური პირი გრიგოლ კაკაურიძე (პ/ნ 18001002238)

შენიშვნა: შპს "ეკოპეტროლის" წარმომადგენლის ფინანსმოძრაობა მიმდინარეობს ბანკი რეგისტრის ორიგინალ ბაზაში წარმოდგენილი №892018127192 ანგარიშით.

სუბიექტების ეროვნული სააგენტოს
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ფურცელი №724
თარიღი 30 დეკემბერი 2020 წ.
ამონაწერი 01 ფურცელი 5-ბალიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N201063036
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნუნუ კაკოჩაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 30 69 98; 591 70 99 72
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47802732469420

ორი ათას ოცი წლის ოცდაათ დეკემბერს, მე, ნოტარიუსს ნუნუ კაკოჩაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67-ის მიმდებარედ მომმართა არჩილ გიორგიძემ. მან წარმოადგინა შეთანხმება #5 და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირდობები, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად არჩილ გიორგიძემ (დაბ.:11.06.1986წელს, რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 10, ბინა 5, პირადი #01024039594)მომმართა. მე შევამომე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. ამასთან განვმარტავ, რომ ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები ეკუთვნის მას და შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სამ ეგზემპლიარზე სამი ხელმოწერისათვის სულ: ცხრა ლარი და რვა თეთრი. საიდანაც ექვსი ლარი არის, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გადახდეინების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (#507 29.12.2011 წ) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. 1.08 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, და ორი (2) ლარი ელ. რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:----------/ნუნუ კაკოჩაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18